





## თამაზ ვასაძე

# ქართული აგიოგრაფიული პროგა ლიტერატურის შემსწავლალთათვის

იაკობ ცურტაველი შუშანიკის წამება

იოანე სახანისძე აპოს წამება

გიორგი მერჩულევა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

ტექსტები თანმდევი განმარტებებით

## **თამაზ ვასაძე**

ეპოთული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსრულებლთათვის  
ტექსტები თანმდევი განმარტებებით

იაკობ ცურტაველი შუშანიკის წამება  
იოანე საბანიძეს წამებაი წმიდისა და წეტარისა ჰაბოისი  
გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

რედაქტორი სოლომონ ნოზაძე  
დიზაინერები ბესიკ დანელია, ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-414-4

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

წიგნში ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ტექსტები წარმოდგენილია ახლებური ფორმით – მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცალკევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, არამედ შერწყმულია, ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან. ეს ახალგაზრდა მკითხველებს, ლიტერატურის შემსწავლელებს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმას და გაგებას. ამავე ეფექტის მისაღწევადაა გამიზნული ინფორმაციულ-ანალიტიკური მასალაც, რომელიც აგიოგრაფიულ ნაწარმოებებს ახლავს.



## სარჩევი

ინკოდ ცურტაველი შუშანიკის წამება.....	9
იორაე საპანისძე აპოს წამება .....	47
გიორგი გერეშელი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება .....	79



# იაკობ ცურტაველი

## შუშანიკის წამება

„შუშანიკის წამება“ – უძველესი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, იაკობ ცურტაველის მიერ V საუკუნის მიწურულში შექმნილი – ქართული კულტურის საფუძვლად და-დებული ქრისტიანული მსოფლხედვის და ლირებულებების მკაფიო, შთამბეჭდავი გამოხატულებაა.

შორეულ ეპოქაში დაწერილი „შუშანიკის წამება“ დღესაც ისე იყითხება, როგორც დრამატულ ადამიანურ ურთიერთობათა წარმომჩენი ცოცხალი ისტორია.



და ან დამტკიცებულად გითხრა თქუენ (ახლა ზედმინევნით ზუსტად, დაწვრილებით გადმოგცეთ) აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი.

(ეს) იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა, კარად სამეფოდ (სპარსთა მეფის კარზე) წარემართა ვარსექენ პიტიახში (ერისთავი), ძეი არშუშაისი, რამეთუ (ამდენად, როგორც არშუშას შვილი) პირველ (თავიდან) იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაი. და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაისპეტისაი (სარდლის), მამისაგან (მამისეული) სახელით – ვარდან, – და სიყუარულით სახელი მისი – შუშანიკ (სომხურად: შროშანი), მოშიში ღმრთისაი სიყრმითგან (ბავშვობიდან) თვისით.

და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისაისა მარადის გულს-ეტყვინ (მუდამ აფიქრებდა თავისი ქმრის უკეთური ბუნება, ზნე) და ევედრებინ ყოველთავე ლოცვის-ყოფად (ყველას ევედრებოდა ელო-ცათ) მისთვის, რაითამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა (რათა ღმერთს შეეცვალა მისი გონიერებას მოკლებული ზნეობრივი სახე) და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესა (დამყარებოდა ქრისტეს ჭეშმარიტებას, ქრისტიანულ სიბრძნეს).

---

სპარსთა მეფე – ირანის მეფე პეროზი (მეფობის წლები: 459-484).

ვარსექენი – ქვემო ქართლის ერისთავი (V საუკუნის II ნახევარი).

არშუშა – ირანის დამპყრობლურ პოლიტიკასთან დაპირისპირებული ქართველი დიდებული.

ვარდანი – ვარდან მამიკონიანი, ირანის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ სომეხთა ბრძოლის ერთ-ერთი მოთავე, ამ ბრძოლას შენირული.

ხოლო ამის უბადრუებისა და სამგზის საწყალობელისა ვარსექნისი ვითარმე ვინ თქუას ყოვლად განწირულისაი (იგულისხმება: ვინმემ როგორ გამოხატოს უბედური და უზომოდ საცოდავი, მთლად დაღუპული ვარსექნის ხვედრი), ვითარ-იგი განაგდო (თუ როგორ უკუაგდო) სანატრელი სასოებაი (სანუკვარი იმედი) ქრისტესი, ანუ ვინ არა სტიროდის (დასტიროდეს, იბრალებდეს) მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არცა პყრობილებაი (ტუსალობა) ქრისტესთვის?! (იგულისხმება, რომ ვარსექნმა ქრისტიანობა ძალდატანებით კი არ უარყო, არამედ ნებაყოფლობით და ეს განსაკუთრებულად ამძიმებს მის ცოდვას, შესაბამისად – მისი სულის იმქვეყნიურ ბედს). რამეთუ რაუამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოლებისათვის (არა იმისთვის, რომ მეფეს პატივი მიეგო მის-თვის), არამედ ძლუნად თავსა თვისსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ (იგულისხმება: არამედ მეფისთვის თავის დასამონებლად), უვარის-ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთისაითა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოველით კერძოვე (რადგან ყოველმხრივ) თავი თვისი ქრისტეს-გან განაგდო (განაშორა).

ხოლო საწყალობელი (საცოდავი) ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაითამცა სათხო-ეყო მეფესა (რათა მეფის გული მოეგო), და ესრეთ (ასე) ეტყოდა, ვითარმედ (რომ): „რომელი-იგი ბუნებითი (ჩემს წარმომავლობასთან დაკავშირებული) ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა სჯულსა (შენს სარწმუნოებაზე გადმოვიყვანო), ვითარცა-ესე (როგორც) მე“ (ვარსექნი გულისხმობს, რომ ცოლ-შვილი, რომელიც ჰყავს, მისი ოჯახური, ეროვნული და რელიგიური წარმომავლობის ძალით არგუნა ბედმა). ამას უქადებდა (პირდებო-

---

თაყუანის-სცემდა ცეცხლსა – ძველი ირანული რელიგია მაზდეანობა, ზოროსტრიზმი, რომელიც ვარსექნმა მიიღო, ღვთაებრივი სიწმინდის თაყვანსაცემ განსახიერებად ცეცხლს მიიჩნევდა.

და), რომელი-იგი არა აქუნდა ხელთა შუშანიკისაგან (რაზეც შუშანიკის თანხმობა არ ჰქონდა). მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაი.

და იჯმნა (წამოვიდა) მეფისაგან სპარსთაისა პიტიახშმან. და ვითარცა მოიწია იგი (როცა მოაღწია) საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა (მხარეს) მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაითა აუწყოს (განიზრახა ემცნო თავისიანებისთვის, რომ დაბრუნდა) და წინამიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაითა მათ გამო (იგულისხმება: ასეთი საზეიმო დახვედრის საბურველქვეშ), ვითარცა (როგორც) ერთგული, სოფლად (ქვეყანაში) შევიდეს. და წარმოპმართა (გამოგზავნა) სადიასპანოთა (საშიკრიკო, სამალემსრბოლო) ცხენითა მონაი თვისი.

და ვითარცა (როცა) მოვიდა (შიკრიკი) დაბასა, რომელსა სახელი ჰრექუან ცურტავ და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, კითხვაი ჰრექუა (მოიკითხა), ხოლო სანატრელმან შუშანიკ, ვითარცა წინასწარმეტყუელმან ჰრექუა (როგორც გულთმისანმა, ნათელმხილველმა უთხრა): „უკუეთუ (თუკი) სულითა ცხოველ არს (ცოცხალია) იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა (დღეგრძელნი იყავით შენც და ისიც), უკუეთუ (თუ) სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენი შენდავე მოიქეცინ!“ (შენთვის შეინახე). ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა (ვერ გაუბედა რაიმეს თქმა). ხოლო წმიდაი შუშანიკ აფუცებდა (აფიცებდა) და ჰკითხვიდა დამტკიცებულად (ზუსტ, გარკვეულ პასუხს ითხოვდა მისგან). ხოლო კაცმან უთხრა მართალი და ჰრექუა, ვითარმედ (უთხრა, რომ): „ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი“. ვითარცა (როცა) ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა ქუეყანასა ზედა (მინაზე) და თავსა დამართ (ქვემოთ) სცემდა და ცრემლი-

---

ცურტავი – ქვემო ქართლის საპიტიახშოს ცენტრი, რუსთავს და ბოლნისს შორის მდებარე.

თა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი (შესაბრალებელი გახდა უბედური) ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი (მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა) და შეერთო (შეუერთდა) იგი უღმრთოთა“.

და აღდგა და დაუტევა ტაძარი (მიატოვა სასახლე) თვისი და ღმრთისმოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მიიყვანა სამნი იგი ქენი და ერთი ასული და წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველისა (დააყენა ისინი ეკლესიის ტიხერით დაფარული ნაწილის წინ, სადაც ღვთისმსახურები იდუმალ ღვთაებრივ სიწმინდეს ეზიარებიან) და ესრეთ (ასე) ილოცვიდა და იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემპაზისა (ნათელლებულნი, მონათლულნი წმინდა სანათლავ ჭურჭელში), მადლითა სულისა წმიდისაითა, ყოფად ერთ სამწყსო (რათა ეკუთვნოდნენ ერთ სამწყსოს) ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა!“. და ვითარცა მწუხრისა ჟამი (როცა საღამოს ღვთისმსახურება) ალასრულეს, სახლაკი (ნაგებობა) ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ (იქ) შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა (კუთხეს) ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.

ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისაი (ერისთავის სასახლის, კარის ეპისკოპოსი), რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ (იქ) იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად (სახლში) მისრულ იყო კითხვად რაისამე სიტყვისა (რაღაცის შესატყობად). და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანავჰყვანდი ეპისკოპოსსა მას. და მყის მოიწია (მოვიდა) ჩუენდა დიაკონი შინაით (შინიდან) და გვითხრა ჩუენ ესე ყოველი – მოსლვაი პიტიახშისაი და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვიგესენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათვის (იგულისხმება, რომ ავტორი ვარსქენის მიერ ჩადენილ ქრისტიანობის ღალატს მთელი მისი გარემოცვის ზნეობრივი არასრულფასოვნების გამოვლინებად მიიჩნევს).

ხოლო მე ვიჯმენ ადრე (მალე წამოვედი) და მივიწიე (მივედი) დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ. და ვითარცა (როცა) ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე. და ვარქვი (ვუთხარი) ნეტარსა შუშანიკს: „ღუანლსა დიდსა შესლვად ხარ (დიდ გარჯას და ბრძოლას ტვირთულობ), დედოფალო! ეკრძალე (მოუფრთხილდი) სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუ-უკუე მტერმან, ვითარცა სრსვილმან, საძოვარი პოოს შენ თანა“ (იგულისხმება: ვაითუ ეშმაკმა, როგორც კანის დაავადება ჭამს ხორცს, ისე შთანთქას შენი სული; ქვეტექსტია, რომ მონამის ტვირთი ადამიანმა შეიძლება ვერ დაძლიოს, მისი სიმძიმისგან სულიერად დაეცეს, ღმერთს ბოლომდე ვერ უერთგულოს). ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, და მეცა დიდსა ღუანლსა (დიდი ჯაფის და ბრძოლისთვის) განმზადებულ ვარ“. და მე ვარქუ მას: „ეგრეთ არს. მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“ (მომთმენი და სულით მტკიცე). ხოლო მან მრქუა მე: „ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე!“ (მარტო ვარ ამ გასაჭირში). ხოლო მე ვარქუ მას: „ჭირნი შენნი ჭირნი ჩუენნი არიან და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ (არა მარტო) დედოფალი ოდენ (მხოლოდ) იყავ, არამედ ჩუენ, ყოველთა, ვითარცა შვილთა, გუხედევდ“ (ყველას შვილებად მიგვიჩნევდი). და ვარქუ მე სანატრელსა მას: „ხუაშიადადრე, ვითარ გეგულების, მითხარ მე (საიდუმლოდ მითხარი, რას აპირებ), რაითა უწყოდი (ვიცოდე) და ალვწერო შრომაი (ლვანლი) შენი“. ხოლო მან მრქუა მე: „რაისა (რატომ) მკითხავ ამას?“ და მე მიუგე და ვარქუ მას: „მტკიცედ სდგაა?“ და მან მრქუა მე (მითხრა): „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა (ნურც მოვესწრები იმას, რომ) ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისათა!“ მე მიუგე და ვარქუ მას: „მწარე გონებაი (სასტიკი სული) აქუს მას, გუემასა და ტანჯუასა დიდსა შეგაგდოს შენ“ (ცემით დაგსჯის, დიდ სატანჯველში ჩაგაგდებს). ხოლო მან მრქუა მე: „უმჯობეს არს ჩემდა ხელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაი (თანაცხოვრება) და წარწყმედაი (დაღუპვა) სულისა ჩემისაი, რამეთუ მასმიეს

(რადგან მსმენია) მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაი, გინა დაი, არამედ განეყენენ“ (იგულისხმება: მორწმუნეს, ქალს თუ მამაკაცს, უფლება აქვს თავისი ნებისამებრ გაშორდეს ურწმუნო მეუღლეს). და მე ვთქუ: „ეგრეთ არს“.

და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა (ამ ლაპარაკში) ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა, და ტირილით იტყოდა: „ესევითარი სახლი მშვიდობისაი (ასეთი მშვიდობიანი ოჯახი) ვითარ საწყალობელ იქმნა (როგორ გაუბედურდა) და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა“. ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსექენისითა (ვარსექენის თანამზრახველი იყო) და ზაკუვით (მზაკვრულად, ცბიერად) იტყოდა ამას და უნდა მონადირებაი (თავისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა) ნეტარისა მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვაი მისი (ამოიცნო მისი მზაკვრული განზრახვა) და მოიზლუდა თავი მისი მტკიცედ (შეუვალად დაიჭირა თავი). და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსექენ პიტიახში. და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა: „მე ვითარ მიცნობიეს (როგორც გავიგე), ცოლი შენი განდგომილ არს შენგან. და მე გეტყვი შენ: ნუ რას ფიცხელსა (მკაცრს) სიტყუასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა (ქალთა) ბუნებაი იწრო არს“ (ნაკლულოვანია, სუსტია).

და ხვალისა დღე (მეორე დღეს), ვითარ ალდგა (როგორც კი ადგა) პიტიახში, გვიწოდა ჩუენ (გვიხმო), ხუცესთა, და მივედით. და სიხარულით შეგვიმთხვინა (შეგვხვდა) და გვრქუა ჩუენ: „ან ნუ რას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ“ (ნურც გძულვართ). და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: „წარსწყმიდე (სულიერად დაიღუპე) თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“. მაშინდა იწყო სიტყუად (ალაპარაკდა) და თქუა: „რაისა ხელ-იწიფა ჩემ ზედა (როგორ გამიბედა) ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ?

---

პავლე მოციქული – ქრისტეს მოძღვრების ერთ-ერთი უპირველესი მქადაგებელი, გამავრცელებელი და განმმარტებელი (I ს.).

(ასეთი რამ). ან მივედით და არქუთ, ვითარმედ (უთხარით, რომ) შენ ჩემი ხატი დაამხუ (ჩემი ღირსება, პატივი დაამდაბლე, გააცამტვერე) და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ (ჩემს სარეცელს ნაცარი დაა-ყარე; ხატოვნად, ფიგურალურად: ჩემი ცოლქმრული კავშირი შენთან შეურაცხყავი). და შენი ადგილი დაგიტევებიეს (მიგიტოვებია) და სხუ-ად (სხვაგან) წარსრულ ხარ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ! (მე არ შემიქმნია შენი ღირსება და პატივი, რომ მე გამეცამტვერებინა). ხოლო (არამედ) მა-მამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი (ააგო მონამეთა სახელობის სამლოცველოები) და ეკლესიანი აღაშენნა, და შენ მამისა შენისა საქ-მენი განრჷყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი (ბოროტებად აქციე მისი კეთილი საქმეები). მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სა-ხიდ თვისა (წმინდანები შემოიყვანა თავის სახლში), ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ (ბოროტი სულები, დემონები შემოიყვანე შინ), მან ღმერთი ცათაი და ქუეყანისაი (იგულისხმება ცის და დედამიწის შემოქმედად და გამგებლად მიჩნეული ქრისტიანული ღმერთი) აღიარა და ჰრწმე-ნა (ირწმუნა), ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უგარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი (შემქმნელი, ღმერთი) შენი უგარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და, თუ მრავალი ტანჯვაი მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა!“ ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხართ პიტიახშსა. ხოლო მან განიწყო გული (იგი განრის-ხდა) და იბრდლუნდა (მძვინვარებდა) მისთვის.

მერმე მიავლინა ჯოჯიკ, ძმაი თვისი, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის ცოლი თვისი, და ეპისკოპოსი სახლისა (სასახლის) თვისისაი და ჰრქუა მათ: „ესრეთ არქუთ: აღდეგ (ასე უთხარით, ადექი) და მოვედ ადგილ-სა თვისასა (შენსა) და ნუ ეგევითარი გონებაი გიპყრიეს (ეგრე ნუ ხარ განწყობილი), უკუეთუ (თუ) არა, თრევით მოგითრიო!“

და ვითარ მიიწინეს (როცა მივიდნენ) და შევიდეს წინაშე დედოფ-ლისა და მრავალსა დასაჯერებელსა (მის დასარწმუნებლად გამიზნულ) სიტყუასა ეტყოდეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: „კაცნო

ბრძენენო, თქუენ კეთილად იტყვით (კეთილმოსურნედ ლაპარაკობთ), გარნა (მაგრამ) ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლადლა ვიყავ (რომ ისევ გავუწიო მას ცოლობა). მეგონა მე, ვითარმედ (რომ) იგი ჩემდა მოვაქციო (ჩემი თანამოაზრე გავხადო) და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და ან მე მაიძულებთ ამას ყოფად?! (იგულისხმება: მის თანამოაზრედ ქცევას). ნუ იყოფინ ესე ჩემდა! (ნუ მოვესწრები ამას). და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ და არცალა მე შენი ძმისცოლი, არცა ცოლი შენი დაი ჩემი არს, რომელნი მის კერძო (მისი მომხრეები) და მისთა საქმეთა ზიარ (თანამოზიარეები) ხართ“.

ჰრქუა მას ჯოჯიკ: „უწყი მე (ვიცი), ან მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყუანოს შენ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „უკუეთუ შემქრას (თუ შემბოჭოს) და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა (რადგან ასე, ამგვარად) იყოს განჩინებაი (განშორება) ჩემი მისგან“. და ვითარცა (როცა) ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი და ჯოჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა: „ვითარ მეტყვი მე დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო?!“ (როგორ ჩამაგონებ, მის ნებას დავყვე, მან ხომ ღმერთი უარყო?). ხოლო ჯოჯიკ ევედრებოდა და ეტყოდა: „დაი ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა (დაღუპავ ოჯახს) ამას სადედოფლოსა“. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: „უწყი, ვითარმედ (ვიცი, რომ) დაი ვარ და ერთგან (ერთად) განზრდილნი, ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ (ვიზამ), ვითარმცა მოსისხლეობაი იქმნა (რომ სისხლი დაიღვაროს), და თქუენ ყოველნი თანამდებ იქმნენით“ (და თქვენც, ყველამ, დაიდოთ ეს ცოდვა).

და ვითარცა ფრიად აურვებდეს მას (როცა მეტისმეტად შეაწუ-ხეს), აღდგა წმიდაი და ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანა ევანგელეი

---

ევანგელე – სახარება, ქრისტეს ცხოვრების და მოძღვრების გადმოცემა, ქრისტიანთა წმინდა წიგნის – ბიბლიის ნაწილი.

თვისი, და ტირილით ესრეთ (ასე) იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ (იცი, რომ) მე გულითად სიკუდილდ შენდამი ერთგულების გამო სასიკუდილოდ) მივალ“. ესე თქუა და წარვიდა მათ თანა, და თანანარიტანა ევანგელეი თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი (მოწამეთა ცხოვრების აღწერილობანი).

და რაუამს შევიდა იგი ტაძარსა მას (სასახლეში), არა დაჯდა იგი თვისსა მას გალიაქსა (სადედოფლო სამყოფელში), არამედ სენაქსა შინა მცირესა (უბრალო, პატარა ოთახში). და აღიპყრნა ხელნი თვისნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქუა: „უფალო ღმერთო, არცა მღვდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალეი (ვინმე მოიძებნა შემბრალებელი), არცა ერისა კაცი ვინ (ვინმე ერისკაცი, საერო პირი) გამოჩნდა შორის ერსა ამას (ამ ხალხში). არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს (სასიკუდილოდ ჩააბარეს ჩემი თავი) მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“.

და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად (სასახლეში) და ჰრეზა მსახურთა თვისთა: „ოდეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, სხუასა ნუ ვის უფლიედ (ნურავის მისცემთ უფლებას) ჩუენ თანა შემოსლვად“.

და რაუამს შემწუხრდა (შეღამდა), მოუხმეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაი, რაითამცა (რათა) მოიყვანეს წმიდაი შუშანიკცა. და ვითარცა მოინია (როცა მოვიდა) უამი პურისაი (პურობის), შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აქამეს პური, რამეთუ (რადგან) ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლინეს (უჭმელმა გაატარა). და ვითარცა (როცა) მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად (სასახლეში), ხოლო გემოი არარაისაი იხილა (მაინც არავითარი საჭმელი არ იგემა). ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოი ჭიქითა და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო (მაინც) შესუა. ჰრეზა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს (როდის) ყოფილ არს აქამომდე, თუმცა (რომ) მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ (იგულისხმება, რომ შუშანიკი უწესობად, მორალური ტრადიციის დარღვევად მიიჩნევს მამაკაცების და ქალების თანამეინახეობას,

სუფრასთან დვინის მსმელი ქალების და მამაკაცების აღრევას). და განყარა (გაიქნა) ხელი და ჭიქა იგი პირსა შეალენა და ლვინოი იგი დაითხია (დაიღვარა). მაშინ იწყო უჯეროსა გინებად (დაიწყო უშვერი გინება) ვარსქენ და ფერხითა თვისითა დასტრგუნვიდა (წიხლავდა) მას, და აღიღო ასტამი (ნაკვერჩხლების, ნაცრის ასაღები ნიჩაბი) და უხეთენა მას თავსა, და ჩაჰულა (ჩარტყა), და თუალი ერთი დაუბუშტა (დაუსივა). და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ (უმოწყალოდ) და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა (ლრიალებდა), ვითარცა ცოფი (ცოფიანი). მაშინ შუელად (საშველად) აღდგა ჯოჯიკ, ძმაი მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა (სცემა ვარსქენმა) იგიცა, და ჭირით (გაჭირვებით), ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ხელთა მისთა (გამოგლიჯა შუშანიკი ჯოჯიკმა ვარსქენს). და ვითარცა მკუდარი, იდვა წმიდაი შუშანიკ ქუეყანასა ზედა (მინაზე), და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა (მოდგმას) მისსა და სახლისა (ოჯახის) მაოხრებელად სახელ-სდებდა (იხსენიებდა) მას. და უბრძანა შეკრვაი მისი და ბორკილთა შესხმაი (შებმა) ფერხთა მისთაი.

და ვითარცა (როცა) მცირედ და-რე-სცხრა გულისწყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მხურვალედ ევედრებოდა მას, რაითამცა საკრველთა მათვან განეტევა (რომ ბორკილებისგან გაეთავისუფლებინა) წმიდაი შუშანიკ. და ვითარ ფრიად (რაკი ძალიან) ევედრებოდა, ბრძანა განტევებაი (ბორკილებისგან გათავისუფლება) მისი და სენაკსა ერთსა (ერთ უბრალო ოთახში) შეყვანებაი და კრძალულად (მალულად და მკაცრად) დაცვაი მისი ერთითა მსახურითა, და რაითა სხუაი არა ვინ შევიდეს ხილვად მისა, – არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი.

და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო (როცა ის-ის იყო თენდებოდა), იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ (რომ): „წყლულებისა (ჭრილობებისგან) მისგან ვითარ (როგორ) არს?“ ხოლო მან პრქუა მას: „ვერ განსარინებელ არს იგი“ (ვერ გადარჩება). მაშინ თვით შევიდა და იხილა იგი. და დაუკვირდა დიდალი იგი სიმსივნეი მისი (გაუკვირდა, როგორ ძალიან იყო დასიებული ცემით). და ამცნო მსა-